დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ქ.დმანისი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 17 08
04/04/2019

დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების (გრეიდერი) ააიპ „ დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალური სამსახურისათვის“ უსასყიდლოდ თხოვების ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, 122-ე მუხლის მე-4-ე პუნქტისა, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის და დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის 13.03.2019 წლის №07/955 წერილის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს უსასყიდლოდ თხოვების ფორმით სარგებლობის უფლებით, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ერთი ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება (გრეიდერი) სახელმწიფო სანომრე ნიშნით: HH 142 M, სარეგისტრაციო მოწმობა: AM 318054, საბალანსო ღირებულებით სულ ჯამში 251 467, 74 (ორასმორმოცდათერთმეტიათას, ოთხასსამოცდაშვიდი) ლარი, დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ააიპ „ დმანისის მუნიციპალიტეტის კომუნალურ სამსახურს“.
2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

მერაბ ოქრიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე

17-08-4-201904041039
https://edocument.ge/KvemoKartli/public/#/